

რედაქცია

მოღონის (აბას-ბატის) მედნაზე, შორანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. შალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ ТИФЛИСЪ. ВЪ редакцію газеты „Дროება“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასობით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ ხტატიებსა და დაუბეჭდელი ხტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

დროება

გამოდის კვირაკლით, ოთხშაბათაკლით და პარასკეაკლით

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

შეიძლება: თჳილისში, რედაქციის კანტორაში (აღრესი გაზეთის სათაურში ნახეთ) და გარეშე შალაქებში — „დროების“ აგენტებთან.

ფასი ნახევარი წლის გაზეთისა (ე. ი. 1 ივლისიდან ვიდრე 1876 წლის 1 იანვრამდე) გაგზავნილ და გაუგზავნელად — 4 მან. და 50 კაპ.

საქართველო

უბედურებაში დახმარება

ზასული თვის უკანასკნელს დღეებში ს. მხრეთ საფრანგეთს უბედურება ეწვია: თითქმის ერთი თვის განმავლობაში განუწყვეტელმა წვიმებმა ააღიდა მდინარეები, ბარანა და სხვა პატარა ადგილობრივი მდინარეები გამოვიდნენ ნაპირიდან და მთელი ნახევარი უბანი ქალაქის ტუღუზასი რამდენიმე სოფელი თითქმის სრულიად წალეკა.

სამი ათასი კაცი და ქალი დაიღუპა. მცხოვრებლებს ათასი მილიონის ზიანი მიეცათ: სახლები, ფაბრიკები და ქარხნები, ყანები, შინაური პირუტყვები, ყველაფერი, რასაც კი მისწვდა გაგიჟებული წყალი, გააფუჭა.

ამ უბედურებამ გამოაშკარავა კეთილ-შობილური, კაცური გრძობა და ხასიათი საფრანგეთის ხალხისა. მთელი ხალხი შესძრა ამ ამბავმა. შეეღვან „წყლისაგან დაზიანებულთა“ ხელის-მოწერა იყო გამართული.

მმართველობის უპირატესნი პირნი წაყვინდნენ დაზიანებული ალაგებისა და ხალხის სანახავად. ნაციონალურმა ძრებამ ჯერ-ჯერობით ორი მილიონი გადასცა იმათთვის და ახლა მოლაპარაკება იმაზე, რომ წელს სახელმწიფო ხარჯი არ გადაახდებინონ.

პარიჟში მხოლოდ ამაზე ლაპარაკობდნენ. ხაზინაში, ბანკირების კანტორებში, თვითონ მაკ-მაჰონის ცოლთან მსურველნი ასობით და ათასობით მიდიოდნენ და იმათთვის შედგენილ სიგებზე ხელს აწერდნენ;

მარტო დ. დესტანში, როგორც ამბობენ, ორმოც-და-ათი სხვა-და-სხვა ტომის ხალხი ცხოვრებს და ყველანი თავის საკუთარ ენაზე ლაპარაკობენ. ამ ენების შესწავლას, იმათ ლრამატიკული კანონების გამოკვლევას, რასაკვირველია, დიდი გამოჭრია ხომა, ბევრი შრომა ეჭარებოდა.

რამ აიძულა ეს ღენერალ-მაიორი ამისთანა მძიმე შრომისათვის? ზანა იმასაც სხვებსავე არ შეეძლო ჩინებულად, შეუშფოთებლად ეცხოვრა თავისთვის და ჩინებუ და ჯაპაგირი მიეღო? მინ სთხოვდა, ვინ ატანდა ძალას, რომ 12 წლის განმავლობაში გამოკრუებულ მთებში ეცხოვრა და მოკლებული ყოფილიყო ყველა იმ კომფორტს, რომელსაც ახლანდელი განათლებული კაცი ასე აფასებს?

არაგინ, თავის სინილისისა და იმ რწმუნების გარდა, რომ ყოველი კაცი ვალდებულია, რომ საზოგადოებისა და მეცნიერების წარმატებისათვის შრომობდეს!

უსლარს კარგათ ესმოდა — თუ რა მნიშვნელობა აქვს ხალხის განათლებისა და წარმატებისათვის მშობლიურ ენებს. შეეღა თავის თხზულებაში და სტატიებში მუდამ ამტ-

ყველა გაზეთის რედაქციებში იმათთვის ფულს აგროვებდნენ; პარიჟის თეატრებში თითო წარმოდგენის შემოსავალი იმათ შესწირეს; ერთმა მოთამაშემ მთელი თავის ბენეფისის შემოსავალი იმათ გაუგზავნა; ყავახანებშია კი თითო-ორალა შაურს სტოვებდნენ ყველანი დაზიანებულებისათვის.

მართი სიტყვით, ყოველი ფრანკუზი, მდიდარი და ღარიბი, რესპუბლიკელი და მონარხისტი ერთგვარ თანაგრძობას უცხადებდა და შეძლებისა დაგვარად ეწეოდა უბედურებს. ამბობენ, პარიჟში ხალხი გაფაციცებული დარბოდა და ეძებდა — თუ სად შეესწირო იმ საწყლებს — თვის ფულით.

ეს თვითონ საფრანგეთში, — ახლასხვა ქვეყნებში: ინგლისში, ბელგიაში, შვეიცარიაში ისეთი მონაწილეობა მიიღეს დაზიანებულთ ბედში, თითქო თავიანთ თანამოძმე და თანამოქალაქეებისთვის შესტკიოდათ გულით.

ამ უბედურებას და დახმარება თავის მოძმეებისა იქნება, რასაკვირველია, სრულიებით ვერ უზღობს ხალხს იმ ზიანს, რომელიც გაშმაგებულმა ბუნებამ მიუყენა იმათ, მაგრამ ცოტა შემწობას მაინც მისცემს, ცოტათი მაინც

კიცებდა, რომ, თუ გვინდა მთიელები ნამდვილ განათლების გზაზე დაეყენონ, ყველაზე პირველად იმას უნდა ესცდილობდეთ, რომ თავის მშობლიურ ენაზე მიიღონ პირველადწყებითი განათლება მაინცაო. და ამისათვის ის იკვლევდა ამ ენების ლრამატიკულ კანონებს, არდგენდა ანბანს, რომ მთიელებისათვის გაეადვილებინა თავიანთი ენის შეწავლა და იმის შემწობით განათლების მიღება.

აი რას ამბობს უსლარი ერთს თავის სტატიაში („წერა-კითხვის გაერცელება მთიელებში“), რომელიც „ქავკასიის მთიელებზე ცნობათა კრებაში“ იყო დაბეჭდილი (1870 წ. ტომი მე-III):

„მორალური დახლოება იმ უცხო ხალხთან, რომელიც ან ძალით არის დაპყრობილი ან დიპლომატიური ტრაქტატებით, საზოგადოთ ძალიან ძნელია... დაპყრობილმა ხალხმა ძველი ცხოვრება უნდა მიატოვოს, ახლს ცხოვრებას, ახლს გადასახლს, ახლს მმართველობის წესს უნდა შეეჩვიოს, — ეს ადვილი საქმე არ არის... ამ ხალხს აშიენებს ის, ვი თუ ჩემი თვით-არსებობა დავკარგო, ის თვით-არსებობა, რომელიც ყოველი ხალხის, აგრეთვე როგორც ყოველი განკერძოებული კაცის, მშობლიურს ენაში,

მოიბრუნებენ სულს, და მერე ისევ ფეხზე წამოდგებიან.

მაგრამ აქ მეორე მხარეა, რომელსაც ჩვენ გვინდა მკითხველის განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ:

ეს ის, რომ იქ ხალხი მიჩვეულია გაჭირებაში ერთმანეთის დახმარებას, მოძმისათვის ხელის გაშვერას და დასხნას.

ზანათლებულ ქვეყნების ყოველ მცხოვრებელს კარგათ ესმის, რომ იმის მოძმის უბედურებასა და გაჭირებას, დღეს თუ არა, ხვალ უეჭველად ისიც იგრძობს, რომ ერთი კუთხე იმათი ქვეყნისა ისე არ დაზიანდება, რომ მთელმა ხალხმა ცარი იგრძნოს ეს შევიწროება. ამის გამო, კაცთ-მოყვარების გრძობის გარდა, იმას ის ანგარიშიც აიძულებს დახმარებას, რომ შეიძლება ხვალ მეც ამისთანა ბედში ჩაეარდეთ და მაშინ ის დამცხმარებოა.

ზანშირებულმა წვიმამ ჩვენს ქვეყანასაც ამისთანა ბედი დააყენა: მარათ-სასუსთის დიდ-საღამო უსუსუსთის გაუფუჭა ხალხს; ზოგიერთ იმერეთის ალაგებში წყალ-დიდობა ყოფილა და ბევრი ზიანი მიუტყია საწყალი სოფლებისათვის.

„სასოფლო გაზეთის“ გამოანგარიშებით, ამ წვიმებმა უკანასკნელი

რჯულში და განსხვავებულ ჩვეულებებში და ხასიათში გამოიხატება... არც ერთი საშუალება არ მოეხმარება რუსეთს მთიელების დასახლოებულად ისე, როგორც ადგილობრივი ენები. სამშობლო ენის სწავლის უყურადღებოდ დადგება არ შეიძლება. ამ ენაზე ყველაფერს ადვილად შეითვისებს ყმაწვილი მოსწავლე. თუ მთიელების სკოლებში, რომელიც ბლომათ არის იქ გამართული, სამშობლო ენას ექნება ყურადღება მიქცეული, თუ ამ ენაზე იქნება პირველადწყებითი სწავლა, მაშინ დარწმუნებული უნდა ვიყენეთ, რომ ესენი ერთ-ორად უფრო მალე და უფრო ადვილად შეითვისებენ რუსის განათლებას და ამაირად ჩქარაც უფრო მოხდება ჩვენსა და იმათ შუა მორალური დაახლოება...“

ეს უსლარის სტატიიდან მოყვანილი სიტყვები გვიმტკიცებს — თუ როგორ გონიერად ესმოდა ახლად მიცვლებულ მეცნიერს პოლიტიკური მხარე ხალხების ერთმანეთთან დამოკიდებულებისა და აგრეთვე პედაგოგიური კანონები.

როგორ განსხვავდება ეს ჰაზრი იმ ნაფიცი პედაგოგების ჰაზრთან, რომელთაც, ჩაუვარდებათ თუ არა ყმაწვილი ხელში, იმწამსვე უცხო ენებზე აწყებინებენ არა თუ წერა-კითხვას, საგნების ზეპირობასაც!...

ს. მ.

ფელტონი

კ. კ. უსლარი

ზასული იენისის 8-ს დიდი ხნისა და მძიმე ავთმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ტვერის გუბერნიაში 58 წლის მოხუცებული ღენერალ-მაიორი პეტრე პარლის ძე უსლარი.

ამ კაცის ცხოვრება ჩინებოთა და სამსახურით კი არ არის გამოჩენილი და საზოგადო ყურადღების ღირსი; არა, იმას სხვა დამსახურება აქვს ქავკასიის წინაშე.

მცდა-ხუთის წლის განმავლობაში უსლარი იკვლევდა ქავკასიის მთის ხალხის ისტორიას, ენებს და ცხოვრებას. სამსახურში დაჯილდოებული, განათლებული კაცი თორმეტ წელიწადს დარისტანის ერთს მიყრუებულ აულში ცხოვრებდა, თითქმის განუშორებლივ, მხოლოდ იმისთვის, რომ აქაური ხალხების ენა და ისტორია შეესწავლა.

არცერთ ადგილობრივ მეცნიერს არ მოუტანია ამ საქმისთვის იმდენი შრომა, არ შეუძენია ენის მეცნიერებისათვის იმდენი ცნობა, რამდენიც ამ უცხო კაცმა შესძინა.

ექვე მილიონის ზიანი მოუტანა ჩვენს ხალხს. ვთქვათ, ეს მომეტებულია; ვთქვათ, სამი მილიონის მეტი ზიანი არ არის. მს ხომ ჩვენი უიმისოთაც ღარიბი ხალხისათვის ერთი-ორად უფრო საგრძობელი ზიანია, ვიდრე საფრანგეთისათვის ათასი მილიონის ფრანკის ზიანი!

მაგრამ ამა შემდეგ, თუ ვინმე ხმას იღებს ამაზე? ამა თუ ვისმეს მოსვლია ის აზრი, რომ დაზიანებულ ხალხს ლუკმა-პური დააკლდება და დახმარება ეჭირება? რომ ჩვენი მოძმენი არიან ესენი, რომ იმათი დახმარება ჩვენი ზნეობითი ვალია, რომ ამას ჩვენივე სარგებლობა მოითხოვს?

აბა თუ ადგილობრივმა გაზეთებმა ერთი ხმა ამოიღონ ამ გარემოებაზე?

„ძველში“ რასაც გინდათ, ნახეთ; არის გაცხარებული სტატიები საშუალო-პიის პოლიტიკაზე, კორარესპონდენტები ბატალაშისკილამ, პესხანო-ქკოპის სტანციიდან... ძველში აქეთა მხარეზე რომ რამე დაბეჭდოს—ღმერთმა დაიფაროს! „მთელი მთა“ ბაქოს ნავთსა და სხვა და სხვა პროცესების ბეჭდვას უნდობა. „მშაკი“ და „მეღე პასტანი“ ერთმანეთში კინწლაობენ!

ადგილობრივ კითხვებზე, აქაურს ცხოვრებაზე და ხალხის საჭიროებაზე ამ გაზეთებში ათასში ერთხელ თუ რასმეს წაიკითხავთ საქართველოზე და ისიც ღმერთმა იცის—როგორ სტატიას ანუ კორარესპონდენციას!

ხალხი დაუდევარი, უზრუნველი; ლიტერატურა, რომელიც იმის გზის მაჩვენებელი უნდა იყოს, კიდევ უფრო დაუდევარი, კიდევ უფრო უზრუნველი...

ს. მესხი

დღიური

□ 1870 წელს მის იმპერატორებით შმადლესობის ძველსიის ნამესტნიკს შმადლესად წარუდგენია პროექტი შესახებ აფხაზეთისა და სამურდაყანოს გლეხების განთავისუფლებისა და საზოგადოთ იქაური მიწა-წყლისა და წოდებათა მდგომარეობის რეფორმისა. მს პროექტი სამხედრო მინისტრმა წარუდგინა ხელმწიფე იმპერატორს, რომელმაც 1870 წლის 8 ნოემბერს ინება იმის დამტკიცება, და მას აქეთ ეს კანონი სისრულეში მოჰყავთ.

□ სოხუმიდამ იწერებინან, ერთს პეტერბურლის გაზეთში („რუსკი შირში“), რომ იქაურ სამხედრო სასამართლოს განყოფილებაში მალე იქნება საქმის გარჩევა, რადგან მთავრობას იქ დაყენებულს მე-2 ძველსიის ლინენის ბატალიონში რალაც უკანონო მოქმედება აღმოუჩინია და ამას გარდა სახელმწიფო ფულებიც შეუტყაძიათო.

„დროშის“ კორარესპონდენცია

ახალციხიდან, 10 მკათაფეს

სწორეთ რომ გააჭირეს საქმე ამ ბოლო დროს ქალების საყვედურით!

მინ ბეჭდვით, ვინ სიტყვიერად გვიჩურჩულეს: ამა და ამ ქალაქის ქალები ცუდ-უბრალოდ დროს ატარებენ, სასარგებლო საქმეს ყურს არ უგდებენო, კეთილ-სამიზნო სპეკულაციებში მონაწილეობას არ იღებენო და სხვა და სხვა.

რომელი უგულო ქალი იქნება, თქვენი ჭირიმი, რომ წაიკითხოს ვგ ამბები და სიმწარით გული არ აუღულდეს? ქალები, ქართველი ქალები, რომელთ სქესიდან დღემდის ყოველთვის ყოფილან სახელ-განთქმული, მოსაქმე და ერთგული, პატიოსანი დედები, თავ-გადადებული და მოყვარული დები,—ეს ქართველი ქალები დღეს ვითომ არაფერში აღარ ვარგანან, ვითომ ჭკობისა და ლოტოს თამაშის მეტი მათთვის არა არსებობს რა!

სწორეთ რომ გულს უხეტქს ეს ამბები არა თუ გულ-ჩვილ მანდილოსანს, გულ-მაგარ მამა-კაცებსაც (რაგორც მე გახლავარ).

რამეს არ უგონებენ,—დიან, უგონებენ—ამ საწყალ ქალებს!

ამას წინათ ვილაც ყურში მიჩურჩულებდა, რომ ახალციხის ზოგი ერთი (გთხოვთ, უფ. რედაქტორო, ეს უკანასკნელი სიტყვა—„ზოგიერთი“ რაც შეიძლება დიდი ასოებით დააბეჭდონო, რომ ყველანი არ შემომწყურენ) მანდილოსნები უსაქმობისა გამო ლოტოს თამაშობის დროს იქამდინ „აზარტში“ შედიანო, რომ ჩხუბობენ კიდევ და გაწეწასაც ჰპირდებიან ერთ-ერთსა... თუ ხომ ჭკობია და არ დაეჯერებთ; მაგრამ ამასაც ვიტყვი, რომ თუნდ ჭკობი არ იყოს, ამისთანა ქცევაში არაფერი გასაკიცხი არ არის ჩვენი ჰაზრით: ვინ არ იცის, ადამიანს ბუნება მუდამ მოძრაობას და მუშაობას თხოულობს. მინ არ იცის, რომ ჩვენს დროში მეტი ნაწილი კაცები (მამა-კაცები) საწყალ ქალებს სასარგებლო რასმეს გაკეთებას არ ანებებენ, ასე რომ ქალები იძულებულნი არიან რაც შეუძლებათ, იმას მოახმარონ თავიანთი ღონე...

თუ ჩვენი ქალები რიგიანს არას აკეთებენ, ვგ სულ ისევ ყვირილა კაცების—დიან, კაცების—ბრალია.

ბატონო, გამოიწყებენ რასმე კეთილ საქმეს ქალები; კაცები ან სულ პირს არიდებენ ამ საქმეს ან ხელსაც ჰკრავენ, თუ მოახერხეს და საქმეს სულ წაუხდენენ.

თუ კი ქალები კეთილს რასმე ხელს მოჰკიდებენ და კაცებს არ გაირევენ, მარტოთ-მარტო, თავის თავად დაიწყებენ შრომას, უთუოდ წალმა წამოვა მათგან გამოწყებული საქმე. პეილოთ თუნდ შემდგომი შემთხვევა ახალციხეში:

მაზაფხულდა წელს, ღმერთმა მრავალი გაგიზაფხულოსო! მოინდომეთ ახალციხის კაცებმა რამე გასართობი და ჰაზროვანი პიკივი გაგვემართა, გაზაფხულის პატივ-საცემლად და ჩვენდა შესაქცევლად. მიყვირეთ, ვიმზადეთ, არა გამოვიდა რა: ვერ მოვახერხეთ, რომ ერთი ღამეში მისის დღე მაინც გაგვეტარებინა ერთობით და გემოვნებით.

ისევ ისრე გაცალ-ცალკეეებული, ზამთრულად, უგულოთ, უშნოთ და-

ლოლიალობთ აქაურ „სიყვარულის მოედანზე“ (სასერინო მოედანი ახალციხეში).

მით დილას ვიყურებით, ხსენებულ მოედანზე არცერთი ქალი არა სიანს; დაღიან თავდაღუნული, ცხვირებ დაშვებული, დაღვრემილი კაცები, მარტოდ-მარტო, ობლებივით. სად არიან ქალები? მკითხავთ ცოლიან კაცებს. —არ ვიცი, დილიდან სადღაც გადაიკარგენ, არ ვიცი სად უნდა წასულიყვენ!

სალამო ხანს ერთ ჩემ სტუმარს ფაეტონი დასჭირდა, გავეზავენე კაცი—არც ერთი ფაეტონი არაა ქალაქში; რა იქნენ, სად გადაიკარგენ? —ქალებმა წაიყვანეს. ბოლოს ღვინო დამჭირდა სტუმრებისთვის,—გავეზავენე კაცი. მთელ ბაზარში ღვინო არაა.—რა იქნა, რამ შესვა ბაზრის ღვინო? —ქალებმა წააღებინესო! აი დასწყევლოს ღმერთმა ეშმაკი, ვფიქრობ და ვიყურები გარშემო, არაფერი შემოვიდეს და მეც არ წამიღოს მეთქი.

ამ შიშში და გოცებაში რომ ვარ, მომესმა ერთი რახარუხი, ხრილი ფაეტონებისა, გაცხარებული ზურნა, მასზე აყოლილი სირინოზის ხმასაებრ ნაზი ხმები, თითქო სამოთხის გალობააო. რა ამბავია? —თურმე ქალებს პიკნაკი ჰქონიათ. შთმენიათ, უთმენიათ საწყლებს და რომ დაუნახავთ, კაცებისაგან არა გამოვარა, მათ ხელში ჩვენ პიკნაკს ვერ მოგვსწრებთო—შეყრილან ორმოცამდე „ქართველი ქალები“ (გული სიხარულით მიდგერს, როცა ამ სიტყვას ესწრს) და ერთი-ორი უფრო მხნე ქალის განკარგულებით წასულან ერთ მშვენიერ დღეს აქაურ არტილერიის ბაღში, უქვიფნიათ იქ მთელი დღე უკავალეროთ (არცერთი კაცი არა რევია მათში) და საღამოს ფაეტონებით „კატაობენ“ ქალაქში განგებ იმ ქუჩებში, სადაც მათი ქმრები ობლებივით სხედან ფანჯარაში და იყურებიან: აბა თუ გამოჩნდეს ცალიო!..

ამბობენ, ვითომ ქმრებმა ჩივილი დააპირეს, მაგრამ შემინდნენო: თუ კი ერთხელ ამისთანა გულადობა გამოიჩინეს ჩვენმა ცოლებმა, უთუოდ შემდგომშიაც კარგს არ დაგვაყრიან ისინიო. მასამტყუნარიც არაა ქმრების ზრით ამისთანა სიფრთხილე.

მე კი ეს ქალების ამბავი რომ დაწვრილებით გავიგე, სწორედ ძალიან გამიხარდა, (იმიტომ კი არა, რომ უცოლო ვარ,—არა!); აი რისთვის: ვითქვამს, თუ გავიწყრა ღმერთი და ახალციხელებს ოდესმე ოსმალეები დაგვეცნენ, მაშინვე აქაური ქალებისაგან გრენადერის პოლკს შევადგენ. მხედართ-მთავარსაც ბოლიოთს ვიშოჯნით. ნახეთ მაშინ ჩვენგური ქალების სახელი: დაბრუნებენ დროებით დამცრობილს ქართველი ქალების დიდებას...

მითი სიტყვით, თუ ვარგანან—ისევ ქალები.

იმისი არ იყოს, რომ ცეცხლი მოიკიდეს თავზე აქაურმა კაცებმა.

წასულ ზამთარს, უთუოდ სამოქალაქო კლუბში ბიბლიოთეკა უნდა გაემართათო. იყვირეს მთელი ზამთარი, იძახეს: ვგაა გაიხსნა ბიბლიოთეკა, აღარავის მოგვეწყინდება ენლა, აღარავინ დავეკარგავთ ტყუილ-უბრალო წაწალში დროსაო;—გათავეს კი მით რომ იყიდეს ერთ ღუქინამდე მწვანე მაუდ-გადაკრული საკეცი სტოლები კლუბისათვის და მას შემდეგ იმათ ღამე სახლში არ გაუთვიათ: კლუბში დასახლდნენ!..

ქალების უერთგულები მოყვარე, კაცების უორგულესი მტერი.

რუსეთი

✱ იმ არეულობის თაობაზე, რომელიც ამას წინათ სერპუხოვის საქსოვ ქარხანის მუშებს მოუხდენიათ, რუსულ გაზეთებში შემდეგ ამბებს იწერებინან: ქარხანა ერთს მდიდარ ვაჭარს, ძონშინს ეკუთვნის. 6,000 კაცი და ქალი მუშაობს თურმე აქ მუდამ დღე. ქარხნის გამგებელს ემდუროდნენ დიდხანია მუშები, რომ სულ უბრალო რამე მიხეზით დღიურ ქირიდამ ფულს გვირიცხავსო და ბოლოს იმდენი გვირგებო, რომ ლუკმა-პურისთვის და ცოლ-შვილის სარჩენათ აღარ გვეყოფნისო. ქარხანის პატრონს იმათი საჩივარი ყურადღებაში არ მიუღია. მუშებსაც თავი მიუხეზებიათ მუშაობისთვის, ქალაქში გაფანტულან და ხმაურობა შექნია. მაგრამ ტულიდამ ჯარი გამოუგზავნიათ და არეულობის მომხდენნი დაუწყნარებიათ.

✱ შინაგანი საქმეების სამინისტროს მიუღია მხედველობაში, რომ ასე ხშირი ცეცხლი რუსეთის სოფლებში იმიტომ ხდებოდა, რომ სახლები ერთობ ახლოს არის ერთმანეთზე აშენებულიო, და ამის გამო ეს სამინისტრო, როგორც ამბობენ, ახალი განკარგულების გამოცემას აპირებს, რომლითაც განსაზღვრული იქნება, თუ როგორი პლანით და რამ სიშორეზე ერთი მეორეზე უნდა ააშენოს სოფლის ხალხმა სახლები.

✱ შმადლეს მთავრობას განზრახვა აქვს, რომ ყველას უფლება მიეცეს, როგორც სახელმწიფო, აგრეთვე კერძო ტყეებში მთელი წლის განმავლობაში ინადიროს იმ მხეცებზე, რომელნიც მავნებელად ირიცხებიან.

✱ „მოსკოვის შწყებებში“ იწერებინან, რომ 7 ივლისს გაიხსნა მოსკოვში სხდომები იმ სასოფლო შკოლების მასწავლებელი კაცებისა და ქალებისა, რომელნიც მთელი მოსკოვის გუბერნიდამ არიან ახლა მოსკოვში შეკრებილი და რომელთაც სხვა და სხვა პედაგოგიურ სვენებზე უნდათ მოილაპარაკონო.

✱ მსევ გაზეთი გეაცნობებს, რომ მთავრობა აპირებს ბაჟის მოსაპობას იმ გოგირდზე, რომელიც რუსეთის სხვა და სხვა მთიან ალაგებში იპოვებო.

უცხო ქვეყნები

საზრანგეთი. მმართველობის მომხრე გაზეთები განარებულნი არიან; ამტკიცებენ, რომ 3 (15) ივლისს მმართველობამ შეიძინა ნაციონალური ძრების უმრავლესობა, რომელმაც ახლანდელ სამინისტროს კენჭის ყრით თავის სრული ნდობა გამოუცხადა. იმათ იმედი აქვთ, რომ ამ უმრავლესობის შემოწმებით, მმართველობა მკვიდრ საფუძველზე იქნება დამდგარი და რა კანონებსაც ისურვებს, იმას დაამტკიცებინებს ძრებას. მაგრამ ამ უკანასკნელი ხმების განაწილების ანგარიში გვიმტკიცებს, რომ იმათი მოლოდინი ფუტია: მრთი პარიჟელი რესპუბლიკური გაზეთი აცხადებს, რომ ამ კენჭის ყრაში 113 მარცხენა მხრის დეპუტატმა მმართველობის სასარგებლოდ ჩააგდო კენჭი; ამას გარდა 6-მა დეპუტატმა ლავერნის გრუპისამ აგრეთვე მმართველობის მხარე დაიჭირა. ამის მიზეზი, გაზეთის სიტყვით, ის არის, რომ ამათ არ უნდოდათ ახლა სამინისტროს კრიზისი მომხდარიყო, ე. ი. ეს ბჰიუჭფეს სამინისტრო გადაეყენებინათ, რადგან მაგიერის შედგენა ძნელი იქნებოდა და საფრანგეთი ცოტა არ იყოს აშფოთდებოდა. მხოლოდ ახლა, ამ შემთხვევაში დაიჭირეს ამ 118 კაცსამინისტროს მხარე, შემდეგში, განსაკუთრებით სახელმწიფო კანონების განხილვის დროს, ამის იმედი ნუ აქვთო, ამბობს ეს გაზეთი.

ამას გარდა თვითონ სამინისტროს წევრებს შუა, (ბჰიუჭფესა და ლჰიუჭორს შუა), როგორც ამბობენ, უთანხმოება არის თურმე, ასე რომ ყოველს შემთხვევაში ახლანდელ სამინისტროს დიდი ხნის სიცოცხლე არა აქვსო.

— ნაციონალური ძრება განიხილავს ამ მოკლე ხანში ახალი კანონის პროექტს, რომლის ძალითაც სახალხო შკოლების ოსტატებს ჯამაგირი უნდა მოუმატონ.

ინგლისი. ბევრი ლაპარაკია ამ ქამად ინგლისურს გაზეთებში იმის თაობაზე, რომ რუსეთი შუა აზიის სამზღვრებისაკენ ძლიერდება და ჩვენს სამფლობელოს ინდოეთს უახლოვდება. ზოგიერთი გაზეთები იქამდი მიდიან, რომ თხოულობენ, ინგლისმა ომი გამოუცხადოს რუსეთსა და ამნაირად შეაჩეროს ამის გაძლიერება აზიაში. ღანარჩენები კი ამტკიცებენ, რომ ჩვენ ამ საქმეში არაფრის არ უნდა გვეშინოდესო, რაც უნდა გაძლიერდეს რუსეთი აზიაში, ინდოეთამდე ჯერ შორს არისო და იქამდინაც რომ დაიჭიროს, ჩვენს ძალასა და ვაჭრობას მაინც ვერას ავნებსო.

— ინგლისის საზოგადოებათა პალატაში დაუმტკიცებიათ კანონის პროექტი, რომლის ძალითაც ლამანის წყლის ქვეშ ინგლისსა და საფრანგეთს შუა ტონელი უნდა გაიყვანონ.

მსპანი. 2,000 დაიარაღებული ჯარი ღონ-ძარლოსის მომხრეებთან განი მსპანიის სამზღვარზე გადასულა საფრანგეთში. ამას მადრიდის ოფიციალურს გაზეთში იწერებინან; საფრანგეთი ამის თაობაზე ჯერ არა ისმის რა. საზოგადოთ, ყოველი მხრიდამ სჩანს, რომ ღონ-ძარლოსის მომხრეებისთვის უკანასკნელი ქამი მოწეულა.

მსმალეთი; მსმალეთის მოხარჯე პალარა სახელმწიფო ჩერნოგორიაში არეულობა არის ამქამად. მსმალოს ჯარსა და აქაურ მხნე მცხოვრებლებს რამდონჯერმე შეტაკება ჰქონიათ მთებში. ამბობენ, რომ ჩერნოგორელები თავგადადებით იბრძვიანო და უნდათ, სულოდით განთავისუფლდნენ მსმალოს დამოკიდებულობიდანო.

ქრონიკა

პიზონის ვინაობა და მისი მოქმედება

მიტრიდატი იბერიელის სიკვდილის შემდეგ, პიზონს დარჩა საქართველოში ბურთი და მეიდანია. რადგან მემენის სიკვდილის შემდეგ ანტიგონი მიდიაში დაბინავდა, იმნ თავისი საზამთრო ბანაკი საქართველოს და მიდიის სამზღვარზე ჩააგდო და სცდილობდა გამეფებას. მაგრამ ანტიგონმა ეს შეუტყო და მოჰკლა. აი როგორ გამოხატავს შოპენი ამის სიკვდილის მიზეზებს და გარემოებებს:

„როცა ბაბოენაში მიმავალ გზაზე ომი ასტყდა, მაშინ პიზონს მარცხენა მხრის ჯარის უფროსი იყო. ამ ლაშქრიანობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე 1500 ცხენოსანი კაცი, რომელნიც პიზონს მოუყვანეს თავის ხვედრი მიწა-წყლიდან (იქნება აი ეს ცხენოსნები იყვნენ ქართველთაგან). აი ეს ცხენოსნები იყვნენ რომ თავს დაესხნენ არდჯასპირების სურსათს და ბარგს და მით გადასწყვიტეს მემენის დმარცხება. არაფინ იცის, სად მოჰხდა ეს ღირსსახსოვარი ბრძოლა; მაგრამ ამის შემდეგ ანტიგონი მობრუნდა მიდიაში და საზამთროდ დაიბანაკა მკატანიისა და რადჯის მახლობლდ. ამასობაში იმან შეიტყო, რომ პიზონი დაბრუნებულა თავის ხვედრ მიწა-წყალში, (იქნება მცხეთაში), მკადინებებს, რომ მიისყიდოს ჯარი აჩუქრებითა და მერმე გამეფდეს. ანტიგონმა ის რე უჩვენა თავი თითქმ არა იცისრა იმის განზრახვისაო და დაჰყარა ხმები, რომ განუზრახვს პიზონს მისცეს ასის ქვეყნის (მესეთის) ზემო მხრის სასატრაპიებში მთავარმართველობა; ამასთანავე იმდენი ჯარიც, რომ საქმალ იყოს ქვეყნის მორჩილებაში დასაკაფებლად. ამ ხმების შემდეგ გაუზნა იმას წერილი და სთხოვა, რომ მოდი ჩემთან ამ საქმის თაობაზე პირის პირ მოსალაპარაკებლად და პირობის შესაკრავად. ამავე დროს პიზონმა მეგობრებისა-

განაც მიიღო წერილი, — ვითომდა მართლაც ასრეთი გულითადი განზრახვა ჰქონდეს ანტიგონსა. პიზონი ამ დროს იმყოფებოდა მიდიის სამზღვარზე, სადაც იმას საზამთროდ სამხედრო ბანაკი ჰქონდა ჩადგებული. ბატაყებული იმედით ის საჩქაროდ გაეშურა ანტიგონთან და როცა მივიდა, ანტიგონმა მაშინვე ბრძანა პიზონის შეპყრობა, სამართალში მიცემა და დასჯა. იმის ნაცვლად მიდიაში დანიშნეს სატრაპებად მედორონტ-პბადი და იპპოტრატი, რომელიც იყო უფროსი 3,600 ათასი დაქირავებული ცხენოსანი ჯარისა.“

ასრე მოკვდა ის პიზონი, რომელიც ალექსანდრე მეფის მცველი ჯარის მთავარი იყო. ამ პიზონს ჰყვანდა სულ 50 ათასი ცხენოსანი კაცი, რომელიც შეადგენდა მეფის როქს. ის მეფის მცველი ჯარი იყო შემდგარი სხვა და სხვა ხალხებისაგან. როცა ალექსანდრე დაბრუნდა ინდოეთიდან სპარსეთის სუსა ქალაქში, მაშინ ამასთან მოვიდა 30 ათასი ცხენოსანი რჩეული და მამაცი თავად-აზნაურებისაგან შემდგარი მხედარი. მეფემ ისინი თავის მცველად მიიღო, რადგან მაკედონელებზე გაჯავრებული იყო. მერმე მეორე წელს კიდევ იმოვიდნენ 20 ათასი კაცი, და ყველა ეს ჯარები შეადგენდნენ 50 ათას კაცს და ებარა აი ახლა მოკლულ პიზონს.

მაგრამ „მართლის სზოერება“ ამბობს, რომ პიზონს ალექსანდრემ „მისცა ასი-ათასი კაცი ქვეყანით რომით, რომელსა ჰქვიან შროტატოს; ესე პროტატოსელნი იყვნენ კაცი ძლიერნი და მხნენი“. მაშასადამე მათლის სზოერება და უცხო ისტორიკოსები შესახებ პიზონისა და პიზონის ჯარის სიმამაცის თანახმანი არიან; მხოლოდ გარჩევა არის რიცხვში: უცხო ისტორიკოსნი ამბობენ, რომ პიზონს 50 ათასი ჯარი ჰყვანდაო; „მართლის სზოერება“ კი ამბობს, რომ იმისთვის მიცემული ჯარი ასი ათასი იყოო.

მე „მართლის სზოერების“ ჰაზრი უფრო ნამდვილი მიმაჩნია, ამისათვის რომ სრულიად არ შეიძლება წინააღმდეგი იმისა ვითქროთ, რომ ვიდრე ალექსანდრე ამ ახალ მოსული ჯარებიდან თავისთვის მცველ ჯარს შეადგენდეს, სხვა მცველი ჯარიც არა ჰყოლოდეს; და ამ ძველს მცველ ჯართან რომ შეეფერთათ ახალი ჯარიც, მაშინ რალა თქმა უნდა, რომ ის ერთი ორად გაბევრდებოდა.

ინგილო ჯანაფილი

ნარევი

პეტერბურლის ღურგლებს საზოგადოება შეუდგენიათ და პირობა დაუდგიათ ერთმანეთში, რომ არ დაფრთვით. იმათი წესდების ძალით, ვინც დაფრება, განსაზღვრული ჯარიმა უნდა გადაიხადოს საზოგადოების კასის სასარგებლოთ. ლოთობის მოსასპობელათ, საზოგადოება, სხვათა შორის, საკუთარ კლუბის გახსნას, ლექციების გამართვას და სხვა ამ გვარ დროს გასატარებელ საშუალების მოხერხებას აპირებს.

**

მრი თუ სამი წელიწადი... ჩაც პეტერბურლი პატარა წრე შედგენილი ქალებისა, რომლის წევრებსაც პირობა დაუდგიათ, რომ აბრეშუმის კაბები არ ჩაიცვათო და რაც ამით ეკონომია გვექნება, რომელიმე საზოგადო კეთილს საქმეზე მოვიხმაროთო. ამ ქამად სულ 16 ქალია თურმე ამ საზოგადოების მონაწილენი; ისინი 12 ობოლ ქალსა და 7 ვაჟს ზდიან თურმე თავიანთ ხარჯით. ახლა ჰსურთ, რომ იმათი საზოგადოება ოფიციალურად დამტკიცდეს.

**

წელს პირველ ფრანკუზის ქალს გაუთავებია ექიმობის კურსი პარიჟის საექიმო უმაღლესს შკოლაში. მათაგებისა თანავე, ეს ქალი მსმალოს ხონტჰარს მიუწვევია თავის არემში საცხოვრებლად და არემის ქალების საექიმოთ. მალი ჯერ არ დათანხმებულა, მაგრამ ბოლოს გადაუწყვეტია იმ პირობით წასვლა სტამბოლს, რომ თვითონ არემში არ იცხოვრებს და უფლება ექნება, არემის ქალებს გარდა, სხვებსაც უქამოს. იმას ექნება ხონტჰარისაგან წელიწადში 40,000 ფრანკი (12,000 მანეთამდი).

**

ჩვენ მოგვივიდა უფ. მ. მანდელაკისაგან შემდეგი სანარვეო ანექლოტები:

ბებერი დედა-კაცი შევიდა ეკკლესიაში, იყიდა ორი წმინდა სანთელი, რომლებთაგან ერთი დაუნთო მიხ. მთავ. ანგ. ხატს, და მეორე ეშმაკს. ის დიაკონმა შენიშნა და უთხრა:

— რას შერები, დედაო, მაგას? რათ უნთებ ეშმაკს სანთელს?

— რა უშავს, შეილო! შევლგან კარგია მეგობარი ჰყავდეს კაცს, სამოთხეშიაც და ჯოჯოხეთშიაც, რადგან არ ვიცი სწორეთ, სად ვიქნები, მიუფო ბებერმა.

მრთმა მოხუცმა სტქვა: „ის კაცი, რომელიც სიყმაწვილემი გონება მახვილი იქნება, სიბერისას სულელი დარჩებაო.“ — მუ ეს მართალია, მაშ შენ სიჭაბუკეში მეტის მეტი მეცნიერი იქნებოდიო, — მიუგეს შეილებმა.

მიდის ერთი აზნაური, რომელსაც გზაში შეხვდა გლეხის ლამაზი ქალი, რომელიც ვირს მიდევდა. — სად მიდისარ? ჰკითხა აზნაურმა. — ამა და ამ სოფელშიო, მიუფო ლამაზმა ქალმა. — ამა და ამ ქალს იცნობ იქ? — მიცნობ. — ახლა ის იქ იქნება მგონია და გახზოვ ეს კოცნა იმას წაუღო, და უნდოდა კოცნა.

— მე კოცნა ამ ჩემ ვირს ვაატანე, რადგანაც წინ მიდის და ჩემვდ უწინ მივა იქო, მიუფო ქალმა.

მრ აზნაურს შეხვდათ ერთი გლეხი, რომელიც დატვირთულ ვირს მიდენდა და სცემდა. — რატომ არ გებრალევა ეს პირუტყვი, რომ ეგრე სტანჯამ? უთხრეს იმათ. მაშინ გლეხმა მოიხდა ქუდი, დადა ვირის წინ და ბოლიში მოითხოვა: „მომიტევე, უფალო ვირო! არ ვიციოდი, თუ შენ ამათი ნაცნობი იყავი და ამათანა კარგი მეგობრები ჰყავდა!...“

მრი კაცი ეჯიბრებოდნენ ერთმანერთს თავიანთ გონებამახვილობაზედ. — მე შენ ათსჯერ გაგიდი, ვინმ შენ მე ერთხელოო, უთხრა პირველმა. — შენ კი ვერც ერთხელ ვერ გაგიდი, რადგან არაფრად არ ღირსარო, უპასუხა მეორემ.

მრთს მოსამსახურეს მოჰქონდა მოპარული შეშა ნაბად ქვეშ. მოპკრა თვალი თუ არა მომავალ კაცს, შეჰყვირა: „კაცი, შორს გამიარე, ჰიანური მომაქვს, არ გამიტხოვო“. ის კაცი მართლა შეფიქრდა და გვერდით აუარა. რომ ჩასცილდა, მოსამსახურეს ნაბად ქვეშ გავარდა ერთი ნაკოდი შეშა. რა დინახა ეს გლეხმა, მიამახა: „მეკიანურე! შენს ჰიანურს სიმი გაუწედა და ძირა დავარდა, აილეო!“

მიეფ. მანდელაკი

ამერიკის გაზრდებში ორი ანექსია და-
ბეჭდილი იმ გამოჩენილი პრეზიდენტის ლინ-
კოლნის ცხოვრებამ, რომელმაც თავის
სიცოცხლე სამხრეთ ამერიკის ზანგების (ნე-
გრების) განთავისუფლებას შესწირა:

ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკას შუა
რომ ომი იყო, იმ დროს ძალიან ბევრი
დიდ-კაცების შეიღობი მოდიოდნენ თურმე
მეროპიამ და ეხმარებოდნენ ჩრდილოეთ
ამერიკას ამ სამართლიან ომში. სხვათა შო-
რის ერთი ესპანელი არისტოკრატი, თა-
სალმ-სალმიც იყო, რომელიც მხნეობისა-
თვის აფიცრის ჩინით დააჯილდოვეს. მიიღო
თუ არა ახალგაზდა ბრწყინვალე თავადა ჩი-
ნი, იმ წამსვე, მადლობის გადასახდელად
ლინკოლნთან მივიდა, და სხვათა შორის
უთხრა:

— იქნება არ იცოდე თქვენ, რომ
ჩემი გვარი ერთი უწარჩინებულესთაგანი
გვარაა მთელს მეროპიაში?

— ჰო, მაგის დარდი ნუ გექნებათ,
უთხრა ლინკოლმა, ნუ გეშინიანთ: კვი
გვარის-შვილობა თქვენ არ დაგიშლისთ
უმაღლესი ჩინის მიღებას...

* *

მთხელ ინგლისის ვლჩი მივიდა თურმე
ლინკოლნთან და იმ დროს წაესწრა თავზე,
როდესაც ის თავის წალებს სწმენდა.

— რას სჩადით, პრეზიდენტო? შაოცე
ბით ჰკითხა დიდებულმა ინგლისის ლორ-
დმა.

— ხო ხედავთ, ლორდო, წალებს ვიწ-
მენდ.

— არცერთი კეთილ-შობილი კაცი არ
იკადრებს მაგარიას თავის დამდაბლებას
ჩვენში, უთხრა ლორდმა.

— თუ თავის წალებს არა, მაშ ვის
წალებს სწმენდენ თქვენშიო? დაცინებით
ჰკითხა ლინკოლმა.

* *

საფრანგეთსა და ბოჰემიას გარდა, გასუ-
ლი თავის დამღევს და ამ თავის დამღევს
იტალიაშიაც და მსხალეთშიაც საშინელი
წვიმები და წყალ-დიდება ყოფილა და ბევრს
ალაგას დიდი ზიანი მიუტია მცხოვრებლე-
ბისათვის.

განცხადებანი

წმ. სახარება
და წიგნები ახალის და ძვე-
ლის აღთქმისა

სხვა და სხვა ენებზედ

ბრიტანიის ბიბლიის საზოგადოების
აგენტი ი. ი. უატტი

თფილისში—მიხაილოვის ხიდ-
ზე, მირზოევის სახლებში

მ. დესას—სობორის პირ-და-პირ
ხარკოვს—ტარასენკოს სახლში,
ლოპანსკის ხიდთან.

ისქიდება: წმ. სახარება რუსულს
ენაზე — — — 12—25 კაპ.

ახალი აღთქმა — — — 25 —
— — — სლავიანურს

ენაზე — — — 35—40 —
უსალმუნი რუსულს ენაზე 20,

25 და 75 —
სახარებანი სხვა ენებზე 15 კაპ.

და მეტიც.

შველა წიგნები მშვენიერად არის
დაკაზმული.

წიგნების მაღაზიებს, სასწავლებ-
ლებსა და წიგნების დამტარებლებს
უფრო იაფ ფასად აძლევს.

უფ. ივანოვის ბიბლიოთეკაში ის-
ქიდება მეორე გამოცემა
ქართულ-ფრანგულ-ლექსიკონ-
ისა, რომელიც შედგენილია ივ.
როტინიანცისაგან. ფასი ერთი აბა-
ზი.


ორი მასწავლებელი ქუთაისის
სასულიერო სასწავლებლისა და ერთი
სტუდენტი მიიღებენ უაზირდებს
ამ კანისკულეებში სხვა და სხვა
საგნებში მოსამზადებლად ეგზამენი-
ისათვის. აგრეთვე ამზადებენ
ყმაწვილებს შესასვლელად სხვა და
სხვა სასწავლებლებში.

პირობების შეტყობა შეუძლიანთ
ზაქარია შვიშვილთან, ქუთაისის სა-
სულიერო სასწავლებელში.

მსურს ავიყვანო **მოსამზადებ-**
ლად გიმნაზიის პროგრამის შესა-
ფერ საზნებშიც და მნებშიც, ისე-
თი ყმაწვილები, რომელნიც ან ე-
კაციების შემდეგ გიმნაზიაში შესვლას
აპირებენ, ან გიმნაზიაში იმყოფებიან
კიდევ და ან რომელთაც რომელიმე
საგნიდამ, მიმავალი ეკაციების (კანია)
შემდეგ, ხელმეორეთ დასაჭერი ეგ-
ზამენია აქეთ გარდადებული. — უფრო
დაწერილებით პირობებზე მოლაპა-
რაკება პირის-პირ შეიძლება.

აღრმის იკითხეთ: ქუთაისს,
უფ. ან. ლორთქიფანიძის ბიბლიო-
თეკაში.

ბარდანქეშან-შარი.



ისქიდება
პირველი კარი შარაპანიანისა,
სპარსულიდან ნათარგმნი ქართულს ენაზედ სახლთხუცის და სარ-
დლის თამაღი დავით ორბელიანიანისაგან. სამოთ სასმენელი.
ზოგიერთი სურათებით შარაპანიანისა, ბარდანქეშა-
ნისა და სხე.

გამოცემული დავით ლაზარაშვილისაგან და ნიკოლოზ
კობალაძისაგან.

ფასი „პირველი კარისა“ ექვსი შაური (30 კაპ.)
ისქიდება ტფილისს მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში, მნფი-
ჯიანცის წიგნის მაღაზიაში და ივანოვის ბიბლიოთეკაში და სხვაგან.

იბეჭდება და აგვისტოსთვის 1-ს გამოვა „მეორე კარი
შარაპანიანისა.“

მასწავლებელი, რომელიც რამ-
დენიმე წელიწადი ასწავლის რუ-
სულს ენას, აიყვანს მოსამზადებლად,
ძლიერ იაფ ფასათ, **გიმნაზიის ოთხ**
კლასადი გასავლელ რუსულ
ენაში და სხვა საზნებშიც იმ
ყმაწვილებს, რომლებიც გიმნაზიაში,
ან სხვა სასწავლებლებში არიან და
ეკაციების დროს მომზადება ექვ-
რებთ, ან ეხლა სურთ მიიღონ სას-
წავლებელში.

აღრმის იკითხეთ: თფილისში,
„დროების“ რედაქციაში, ქორღანო-
ვის სახლებში, მოღინის მოედან-
ზე.

დაიბეჭდა და ისქიდება
თამარ სამართველოს
ბატონის შვილი
ისტორიული რომანი
წ. რჩეულთა ვისა.
თფილისში: მელიქიშვილის და
ამხ. სტამბაში და მნფიჯიანცის
წიგნის მაღაზიაში.
ფასი ყველგან ექვსი შაური.

თფილისის სამკურნალო
(4 აპრილის სახლგარდა)
მრეწვის მაედანზე, ჩიტაზოვის სახლებში.
ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვი-
რას გარდა, ზაფხულობით დღის 3 საათ-
დამ 10 მდი.

მ. რ. შაბათს: ექიმი ტელიაფუსი—ქა-
ლისა და ყმაწვილების ავთმყოფობისათვის,
ბარალევიჩი და ლისიცივი—შინაგანი ავთმ-
ყოფობისათვის.

სამ შაბათს: მერმიშვილი და მარკარო-
ვი—შინაგანი ავთმყოფობისათვის.

მ. თხ შაბათს: ლისიცივი—შინაგანი
ავთმყოფ., მაკოვსკი—ვენერიული ავთმყო-
ფობისათვის.

ხუთ შაბათს: ბრაზოვსკი—ხირურგიუ-
ლი ავთმყოფ., ტელიაფუსი—ქალებისა და
ყმაწვილების ავთმყოფ. და მერმიშვილი—ში-
ნაგანი ავთმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცივი და მარკა-
როვი—შინაგანი ავთმყოფობისათვის.

შაბათს: მერმიშვილი—შინაგანი ავთ-
მყოფ. და მაკოვსკი—ვენერიული ავთმყო-
ფობისათვის.

რკ. გზა.	დილა.	სალაშ.	II კ.	III კ.	ცეცხლის გაყვები	ფოფტა	ბირაშ	მან. კაპ	გაზანდა	მან. კაპ
თფილისი . . .	8 18	8 17			ა) შოთილამ:	ა) თფილისი დამ:	პეტერბურგი, 16 ივლისს.		თფილისი, 19 ივლისს	
მცხეთა . . .	9 18	10	68	38	მ. დესისკენ—ორშაბ. დილის 8 საათ.	სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს	ერთი მანეთი ღირს:		პური შორაგალის ფო.	1 10
ბორი . . .	11 39	1 43	2 40	1 23	ბ) სოხუმშიც:	— ყოველ დღე კვირას გარდა, ზუგდ.	ლონდონში 3 3 1/3 პენსი.	84	შერი ფუთი . . .	60
სურამი . . .	1 52	4 30	3 92	2 18	შოთს—სამშაბათს, დამით.	ოთხშ., მსურგეთს—პარაკ და	პარიში 3 5 1/4 სანტიმი.	89	ბაბა მრეწვისა, ფუთი .	4 30
ბეჟათუბანი	3 45		4 42	2 46	მ. დესას—კვირას, გათენებისას.	შაბ. ქახეთს—სამშ. და შაბ.	მსკონტი(სარგებლობისთვის)	6	— ამერიკისა, ფუთი . .	6
შვირილა . .	6 49		5 81	3 23	შოთილამ: I II III	ბ) ქუთაისი დამ:	ბანკის ბილეთი 5%	99 75	ბაპინტილი ბაბა ფო.	8
ქუთაისი . . .	7 55		6 75	3 75	სოხუმშიც . . . 4 3 1 1	თფილისისა და შოთისკენ—ყო-	მოგებიანი(პირველისთვის)	229 50	მატული თუშური ფო.	7
სამტრედია .	9 2		7 73	4 29	მერჩამდი . . . 20 50 15 50 5	ველ დღე, კვირას გარდა. მსურ-	მოგებიანი (მეორე სესხი)	229 50	— თარაქამისა ფო . .	3 80
ახ.-სენაკი .	10		8 57	4 76	ტავაროგ. 34 27 8 60	გეთს—ორშ. და პარაკ. ზუგდდს	ბირაოს ფურცლები:		აბრეშუმში ნუხური გრ.	2 60
შოთი . . .	11		9 75	5 42	მ. დესასამდი. 38 30 9 60	— ოთხშაბ.	თფილ. სააზნ. ბანკისა.		ქონი, ფუთი . . .	4
შოთი . . .	7 38				ტელეგრაფი	გ) ბორი დამ.	ხერსონის ბანკის (5 1/2)	87 50	ქონის სანთელი ფუთი.	5 60
ახ.-სენაკი .	9 11		1 18	66	მ. ცი სიტყვა თფილისი დამ:	შოველგან ყოველ დღე, კვირს	მოსკოვის (5%) . . .	8 50	სტეპარინის სანთელი, ფ.	10 40
სამტრედია .	10 12		2 61	14	ქუთაისს, შოთს . . . 1	გარდა.	აქციები:		ხორცი ძროხისა, ლიტ.	65
ქუთაისი . . .	11 17		3 41	69	ბორს, დუშეთს, სიღნახს . . . 50	დ) შოთი დამ:	მ. დესის საეჭრო ბანკის.	213	— ცხვრისა, ლიტრა . .	75
შვირილნი . .	12 38		3 98	2 21	როსტოვს მ. დესას მოსკოვს . . . 2	შოველგან ყოველ დღე, კვი-	შოთი-თფილ რკინ. გზის	133	სპირტი, ვედრო . . .	7
ბეჟათუბანი	3 27	ლაშე	5 33	2 96	პეტერბურგს, მარშავს . . . 2	რას გარდა.	შაიზღვის ცეცხ. გემების	560	შაქარი, კარგი ფუთი .	8 20
სურამი . . .	4 57	12 30	5 84	3 24	მსხალეთში, შეიქცარიში . . . 3	წიგნის გაგზავნა რუსეთში	აქვაზის და მერკურის . .	168	— ფხვნილი ფუთი . . .	6 80
ბორი . . .	7 23	3 31	7 36	4 9	იტალიაში და საფრანგეთში. 3 50	და სამზღვარ გარეთ:	პრე. საზღვევ. საზოგ.	665	შავა გრგვლი ფუთი . .	19
მცხეთა . . .	9 52		9 85	4	ინგლისში 3 75	ლია წიგნის 4	პეტრბ. საზღვევ. საზ.	263	ხუთი ქუნჯუთისა ფო.	6 60
თფილისი . .	10 49	8 29	7 54	42		დაბეჭდილის (სამი მისხალი) . 8	მოსკოვის საზღვევ. საზ.	257 65	მქრო 1/2 იმპერიალი . .	5 91